ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5966011

ნომერი: AR1896586

თარიღი : 06.05.2022

გაცემის თარიღი : 02.06.2022

გაცნობის თარიღი : 06.06.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქუჩა, N 41;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ჩახუნაშვილი პ/ნ 01024061809
- ქ. თბილისი, პეკინის გამზ. მე-2 კვ. კორპ #10, ბინა #46

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 13 იანვრის №5758897 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 06 მაისს №AR1896586 განაცხადით მომართა თამაზ ჩახუნაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის

13 იანვრის №5758897 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 13 იანვრის №5758897 ბრძანებით ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქუჩა №41-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.037.338) სამსახურის 2021 წლის 24 დეკემბრის №5741821 გადაწყვეტილებით შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს „კაპიტალ-ქონსთრაქშენი“ (ს/ნ: 405459374).
წინამდებარე განაცხადით, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის საფირმო სახელწოდების ცვლილების გამო მოთხოვნილია სამსახურის 2022 წლის 13 იანვრის №5758897 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და დამკვეთად შპს „კაპიტალ-ქონსთრაქშენი“-ს (ს/ნ: 405459374) ნაცვლად - შპს „ეიმ.ჯი“-ს (ს/ნ: 405459374) დაფიქსირება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №882022219701, მომზადების თარიღი: 01/04/2022 წ.) თანახმად, №01.72.14.037.338 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „ეიმ.ჯი“-ს (ს/ნ: 405459374) საკუთრებას.
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22036730; მომზადების თარიღი: 30/03/2022 წ.) განხორციელდა შპს „კაპიტალ-ქონსთრაქშენი“-ს (ს/ნ: 405459374) საფირმო სახელწოდების ცვლილება და გახდა - შპს „ეიმ.ჯი“ (ს/ნ: 405459374). ამავე ამონაწერის თანახმად, შპს „ეიმ.ჯი“-ს (ს/ნ: 405459374) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს გოდერძი პაპუაშვილი (პ/ნ: 14001004981). სამსახურში წარმოდგენილია გოდერძი პაპუაშვილის (პ/ნ: 14001004981) მიერ განმცხადებლის - თამაზ ჩახუნაშვილის (პ/ნ: 01024061809) სახელზე გაცემული 2022 წლის 04 მაისის №22/05/02 მინდობილობა. შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, №01.72.14.037.338 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს (შპს „კაპიტალ-ქონსთრაქშენი“ (ს/ნ: 405459374) შეეცვალა საფირმო სახელწოდება და გახდა შპს „ეიმ.ჯი“ (ს/ნ: 405459374) და მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2022 წლის 13 იანვრის №5758897 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „ეიმ.ჯი“-ს (ს/ნ: 405459374) დაფიქსირებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს თანახმად,

ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 13 იანვრის №5758897 ბრძანებაში და დამკვეთად შპს „კაპიტალ-ქონსთრაქშენი“-ს (ს/ნ: 405459374) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „ეიმ.ჯი“ (ს/ნ: 405459374).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 13 იანვრის №5758897 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 13 იანვრის №5758897 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.